ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის

შესრულების წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 86-ე და 87[1]-ე მუხლების თანახმად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და მოგახსენებთ შემდეგს:

მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4 755,4 ათას ლარს, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით ადგილობრივი ბიუჯეტი დაზუსტდა ექვსჯერ და სპეციალური ტრანსფერების ჩათვლით შეადგინა 12879,8 ათასი ლარი (ნაშთის 63,4 ათასი ლარის ჩათვლით), ფაქტიურად შემოსულობების გეგმა საერთო მოცულობაში შესრულებულია 12025,0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების (ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 862.8 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 1901.4 ათასი ლარი, ანუ 38.6 ათასი ლარით მეტი. წლიური გეგმა შესრულებულია 102.0 %- ით. მათ შორის: გადასახადები (ქონების) 358.8 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 361,8 ათასი ლარი ანუ 3.0 ათასი ლარით მეტი, სხვა შემოსავლები 1445.7 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 1481.3 ათასი ლარი, ანუ 35.6 ათასი ლარით მეტი, აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 1301.2 ათასი ლარია შემოსული, შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში 8,4 ათასი ლარი ლარია შემოსული, ბანკის დარიცხული პროცენტების გეგმა შეადგენდა 37,9 ათას ლარს, ფაქტიურად დარიცხულია და შემოსულია 40,6 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების გეგმა შეადგენდა 10,6 ათას ლარს, შემოსულია 12,6 ათასი ლარი. მ.შ. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან 0,1 ათასი, მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვიდან 6,8 ათასი და

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან 5,4 ათასი ლარი ნაცვლად შემოსულია 5,7 ათასი ლარი, ანუ 0,3 ათასით მეტი.

შემოსავლები ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 87,1 ათასი ლარის ნაცვლად 92,2 ათასი ლარია შემოსული.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 58,3 ათასი ლარი შემოვიდა რასაც გეგმა ითვალისწინებდა.

ფინანსური დახმარებები (ტრანსფერები) ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა მიგვეღო დაზუსტებული გეგმის მიხედვით 10 953,6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 10123.6 ათასი ლარი, მ.შ. გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია გეგმით გათვალისწინებული 3313,4 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის N2541 განკარგულებით ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ 100,0 ათასი ლარი, პროექტი ,,შავი ზღვა - სოლიდარობა და ეკონომიკური აქტივობა“ გრანტი - 3.0 ათასი ლარით (პროგრამა თანადაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ).

სპეციალური (კაპიტალური) დანიშნულების ტრანსფერი 7 537,2 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მიღებულია 6707,3 ათასი ლარი, (აღნიშნული გეგმის საერთო მოცულობის შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ დადებული ხელშეკრულებებიდან შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის შეწყდა ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობის ხელშეკრულება. მიმდინარე წელს შ.პ.ს. NBG -ს გარანტორმა არდი ჯგუფმა გადაიხადა ჯარიმის სახით ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის 32.0 ათასი ლარი. გადასახდელი კიდევ აქვს 1200 ლარი და დააბრუნებს საავანსო თანხას 444.0 ათას ლარს. რომელიც შ.პ.ს. NBG ჩვენს მიერ შეყვანილი იქნა შავ სიაში. დარჩენილი საავანსო თანხის ასახვა განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსში მუხლით ,,მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, როდესაც მოხდება გარანტორის მიერ აღნიშნული თანხის სრულად დაფარვა საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე თანხა მიიმართება მიზნობრივად იგივე სამუშაოზე) .

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (საგასავლო ნაწილი) დაზუსტებული გეგმის 12879.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 11645,1 ათასი ლარი. ცალკეული მხარჯავი დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ორგანიზაციული და

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით თანხების ხარჯვა ასეთ სურათს იძლევა: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საერთო გადასახდელები დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 2200,0 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 2178.0 ათასი ლარი, ანუ 22,0 ათასი ლარით ნაკლები, აქედან: მუნიციპალიტეტის საკრებულოში 642,5 ათასი ლარი ნაცვლად გახარჯულია 637,2 ათასი ლარი ანუ 5,3 ათასით ნაკლები;

მუნიციპალიტეტის გამგეობამ (სამსახურების ჩათვლით) 1480,0 ათასი ლარის ნაცვლად 1478,7 ათასი ლარი გახარჯა - 1,3 ათასი ლარით ნაკლები;

სარეზერვო ფონდი გეგმით უნდა გახარჯულიყო 77,7 ათასი ლარი. გამგებლის ბრძანებების საფუძველზე გახარჯულია 62,3 ათასი ლარი (იხ. დანართი N1).

საგანგებო სიტუაციების მართვის (სახანძრო) სამსახურმა გახარჯა 203,8 ათასი ლარი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შესანახად გახარჯულია 125,7 ათასი ლარი, 125,9 ათასი ლარის ნაცვლად, 0,2 ათასი ლარით ნაკლები. (მივლინების ხარჯებში)

ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოტაციაზე გეგმით გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა 6 433,9 ათასი ლარი, გაფორმებული ხელშეკრულებებით გახარჯულია 5 723,0 ათასი ლარი. (მ. შ. ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსებებით შესასრულებელ სამუშაოებზე გამოყოფილი იყო გეგმით 5 984,4 ლარი, ჩატარებული ტენდერებითა და გაფორმებული ხელშეკრულებებით აქედან გახარჯულია 5 280,7 ათასი ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე 2662,4 ათასი ლარი გაიხარჯა. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე 391,4 ათასი ლარი გაიხარჯა. მ.შ. კომუნალური სამსახური ,,სხივი“-ს მიერ გაიხარჯა გეგმით გათვალისწინებული 303,3 ათასი ლარი, ა(ა)იპ ,,კურორტი

ბახმარო“- მ 71,6 ათასი ლარი გახარჯა. გარე განათების მოწყობაზე 16.5 ათასი ლარი გაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე უნდა გახარჯულიყო 234,1 ათასი ლარი, გახარჯულია 90,9 ათასი, , მ.შ. შენობების ტექ. პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადებაზე გახარჯულია 76,4 ათასი ლარი, დაბის კეთილმოწყობისათვის 13,0 (უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლიაცია, ყოფილი კულტურის სახლის დემონტაჟის და აგრარული ბაზრის წინა ტერიტორიის მოწყობის და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის) ათასი ლარი გაიხარჯა, ციტრუსის მოსავლი აღების ღონისძიებებზე უნდა გახარჯულიყო 138,7 ათასი ლარი გახარჯულია 1,5 ათასი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 1 948,4 ათასი ლარია გახარჯული. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული იყო 629,9 ათასი ლარი გაიხარჯა 629,9 ათასი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ფაქტიურად გაიხარჯა 1337,7 ათასი ლარი, მ. შ. სკოლამდელი განათლების საბავშო ბაღების შენახვაზე გაიხარჯა 683,1 ათ. ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 552,8 ათასი ლარი საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოხმარდა.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსებაზე 85,6 ათასი ლარია გახარჯული, განათლების სისტემის ხელშეწყობაზე გაიხარჯა 12,2 ათასი ლარი;

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე სულ 2167,3 ათასი ლარი უნდა გახარჯულიყო, ფაქტიურად 1667,3 ათასი ლარი გაიხარჯა, აქედან კულტურის სახლის მშენებლობაზე 1000,0 ათასი ლარი, (საწყის ეტაპზე კულტურის სახლის მშენებლობისთვის გამოიყო 500,0 ათასი ლარი, დადებული ხელშეკრულებებიდან შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის შეწყდა ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობის ხელშეკრულება.

დარჩენილი 500,0 ათასი ლარის გამოყოფა აღარ მოხდა და აღნიშნულის მშენებლობა განხორციელდება 2015 წელში.

სპორტის განვითარების ცენტრის დაფინანსებაზე უნდა გახარჯულიყო 115,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულია ამდენივე.

საფეხბურთო კლუბ „ბახმაროს“ შენახვაზე 196,3 ათასი ლარი გაიხარჯა, გეგმაც ამდენივეს ითვალისწინებდა .

გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებაზე 4,0 ათასი ლარი გაიხარჯა;

სპორტული სკოლის დაფინანსებაზე გახარჯულია 174,1 ათასი ლარი ;

კულტურის ცენტრს გამოყოფილი ჰქონდა 268,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა ამდენივე ;

სამხატვრო სკოლას გეგმით 67,6 ათასი ლარი უნდა გაეხარჯა, ფაქტიურად გახარჯული აქვს ამდენივე;

ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფინანსებაზე 97,0 ათასი ლარი იყო მიმართული, ფაქტიურად გახარჯული აქვს ამდენივე;

მუსიკალურ სკოლას 86,8 ათასი ლარი ქონდა გეგმით გათვალისწინებული, დახარჯულია 85,5 ათასი ლარი;

მუზეუმების გაერთიანებაზე დახარჯულია 118,1 ათასი ლარი;

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებაზე გახარჯულია 10,4 ათასი ლარი ;

რელიგიის, კერძოდ ეკლესიის და მასთან არსებული სასადილოს დაფინანსებაზე მიმართული იქნა 23,2 ათასი ლარი;

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 418,0 ათასი ლარი, გაიხარჯა 416,6 ათასი ლარი, 1,4 ათასი ლარით ნაკლები, აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობაზე გახარჯულია 76,0 ათასი ლარი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა.

სოციალური დახმარებებზე უნდა გახარჯულიყო 342,0 ათასი ლარი, გახარჯულია 340,6 ათასი ლარი (იხ. დანართი)

როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში თანხების ხარჯვა მომხდარია დაზუსტებული გეგმის ფარგლებში და როგორც საერთო მოცულობაში, ისე მუხლობრივად გადახარჯვას ადგილი არ აქვს, ზოგიერთ მათგანში (ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო) არის თანხების აუთვისებლობა, დარჩენილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება მოხდება 2015 წელში.

იხილეთ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი - გელა ლომინეიშვილი